

ალექსანდრე ანგლიძე

ბიობიბლიოგრაფია



© 1976 მეცნიერებები 1976

Александр
Джанелидзе

(1888~1975)

Биобиблиография



Издательство «Мецниереба»
Тбилиси
1976

ალექსანდრე
ანდიკე

(1888-1975)

ბიობიბლიოგრაფია



გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი

1976

ნაშრომი წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ა. ჯანელიძის ბიობიბლიოგრაფიას.

შასში მოცემულია ამ დიდი მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა, მისი ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღები.

ბიობიბლიოგრაფიაში ვრცელი ადგილი უკავია ა. ჯანელიძის შრომათა ქრონოლოგიურ-ანაზურ ნუსხას. ვალკე ჩამოთვლილია ა. ჯანელიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომები, ლიტერატურა მის შესახებ და მისი რედაქტორობით გამოქვეყნებული შრომები.

Труд представляет собой биобиблиографию выдающегося грузинского ученого и общественного деятеля, основателя грузинской геологической школы А. И. Джанелидзе.

В нем дано обозрение жизни и деятельности выдающегося ученого.

В биобиблиографии значительное место занимает хронолого-алфавитный перечень трудов А. И. Джанелидзе. Отдельно перечислены его неопубликованные труды, литература о нем и труды, опубликованные под его редакцией.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია:
შ. დ ი ძ ი გ უ რ ი (მთ. რედაქტორი), თ. დ ა ვ ი თ ა ი ა, ვ. კ უ პ რ ა-
ძ ე, ვ. მ ა ხ ა ლ დ ი ა ნ ი, ვ. ო კ უ ჭ ა ვ ა, მ. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი,
ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ს. ხ ა ღ უ რ ი (მდი-
ვანი).

შემდგენელი გ. მ გ ე ლ ა ძ ე

რედაქტორი ვ. გ ა მ უ რ ე ლ ი ძ ე

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ა

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Ш. В. Дзидзигури (глав. редактор), Ф. Ф. Давитая, В. Д. Купрадзе, В. В. Махалдiani, В. М. Окуджава, М. Н. Сабашвили, А. С. Прангшишвили, Г. В. Цицишвили, С. А. Хадури (секретарь).

Составитель Г. В. Мгеладзе

Редактор П. Д. Гамкрелидзе

Библиографический редактор Т. Е. Накашидзе



აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი

სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოქლე მიმოხილვა
1888-6. XI—1975-16.1

გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლისა და მეთაურის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ალექსანდრე ილარიონის ძე ჯანელიძის სახელთან დაკავშირებულია გეოლოგიური მეცნიერების ჩასახვა და განვითარება ჩვენში. მან, როგორც ფართოდ და ღრმად განათლებულმა მეცნიერმა და უბადლო პედაგოგმა, შეძლო ხან-ჰოკლე დროში ქართული გეოლოგიური მეცნიერების უმაღლეს დონემდე აყვანა და სათანადო კადრების მომზადებით მისი განვითარების ფართო პერსპექტივების უზრუნველყოფა. ამიტომ არის, რომ ალექსანდრე ჯანელიძის სახელთან არის დაკავშირებული ქართული გეოლოგიის აწმყოც და მომავალიც.

ა. ჯანელიძე დაიბადა 1888 წლის 6 ნოემბერს (ახალი სტილით) ამბროლაურის რაიონის სოფ. ნიკორწმინდაში, მოსამსახურის ოჯახში. 8 წლის აღეჭვანდოւ სკოლაში შეჰყავთ საჩერებეში, ხოლო 1897 წელს გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ სწავლას აგრძელებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1905 წელს რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობისადმი თანაგრძნობის ნიშნად იგი მე-7 კლასიდან თავს ანებებს სწავლას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ექსტრემნის წესით ამთავრებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას.

1906 წელს ა. ჯანელიძე უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება დასავლეთ ეკროპაში. ერთი ხანი მან უენევაში დაჰყო, რომელიც იმ დროს პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრს წარმოადგენდა, მაგრამ მალე პარიზში გადავიდა და 1907 წელს

სორბონის უნივერსიტეტის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შევიდა, რომელიც 1910 წელს დაამთავრა. მისი დამთავრების შემდეგ ის კიდევ ერთი წლით რჩება პარიზში, სორბონაში სამუშაოდ.

1911 წელს ა. ჯანელიძე ბრუნდება სამშობლოში და იწყებს მუშაობას ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ფიზიკის მასწავლებლად, ამავე დროს პარალელურად ასწავლის აგრეთვე მათემატიკას ქალთა გიმნაზიაში.

1915 წელს ა. ჯანელიძე მიემგზავრება ქ. ყაჩანს, სადაც წარმატებით აბარებს ექსტერნის წესით გამოცდებს უნივერსიტეტში, უფლებებში გათანაბრების მიზნით, ღებულობს პირველი ხარისხის დიპლომს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რჩევით იქვე რჩება გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრაზე „საპროფესოროდ შოსამზადებლად“.

1918 წლის თებერვალში ა. ჯანელიძე საქართველოში ჩამოდის, მაგრამ სამოქალაქო ომის გამო უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებს და იმავე წლის სექტემბრიდან იწყებს მუშაობას თბილისის ქართულ გიმნაზიაში ფიზიკის მასწავლებლად. პარალელურად მონაწილეობს ახალი საშუალო სკოლისათვის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში.

1918—1919 წლებში ა. ჯანელიძე აქვეყნებს ფიზიკის ორ სა- ხელმძღვანელოს საშუალო სკოლებისათვის პირველად ქართულ ენაზე.

ამავე პერიოდში ა. ჯანელიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი ინტელიგენციის სხვა რჩეულ წარმომადგენლებთან ერთად ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. ახლად შექმნილი უნივერსიტეტი მას აგზავნის უცხოეთში სამეცნიერო მივლინებაში. 1920 წლის იანვარს ა. ჯანელიძე მიემგზავრება საფრანგეთში, სადაც ქ. გრენობლის უნივერსიტეტში იწყებს მუშაობას გამოჩენილი გეოლოგის ვ. კილიანის ლაბორატორიაში. მისი ხელმძღვანელობით შეუდგა ის ზედაიურული და ქვედაცარცული ამონიტების მეტად საინტერესო ჯგუფის შესწავლას. 1922 წელს საფრანგეთის გეოლოგიური რუკის უწყებების სერიაში იბეჭდება მისი პირველი დიდი მეცნიერული გამოკვლევა — მონოგრაფია „სპიტიცერისების“ შესახებ. ამავე პერიოდში ის საფრანგეთში აქვეყნებს კიდევ პალეონტოლოგიური ხასიათის ორ შრომას.

უფრო გვიან ა. ჯანელიძე მუშაობს პარიზში უკვე სახელგანთქმულ ე. ოგის ლაბორატორიაში, ხოლო 1922 წელს გერმანიაში

აგრძელებს სამეცნიერო კვლევებს ქ. ჰალეს გეოლოგიურ ინსტიტუტში, ი. ვალტერის ხელმძღვანელობით.

1923 წელს ა. ჯანელიძე ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში გეოლოგიური კათედრის გამგედ. იმავე წლის შემოგომაზე თბილისის უნივერსიტეტში იცავს დისერტაციას მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საღისერტაციო თემად წარდგენილი იყო მონოგრაფია ქვედაცარცული ამონიტების — სპიტიცერასების შესახებ, რომელიც მან საფრანგულთში შეასრულა და იქვე გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე. ა. ჯანელიძის ეს შრომა იყო პირველი საღოქტორო დისერტაცია ბუნებისმეტყველების დარგში დაცული ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტში.

1924 წელს ა. ჯანელიძემ თბილისის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა გეოლოგისა და პალეონტოლოგის კათედრა, რომლის ხელმძღვანელობა მას თვითონ მოუხდა 48 წლის განმავლობაში. 1972 წელს მან ეს კათედრა თავის მოწაფეს აკად. ა. ცაგარელს გადასახარა. ა. ჯანელიძემ 1928 წელს ასეთივე კათედრა შექმნა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1940 წლამდე.

1925 წლის დასასრულს ა. ჯანელიძე სხვა კოლეგებთან ერთად განათლების სახალხო კომისარიატთან აარსებს საქართველოს გეოლოგიურ ინსტიტუტს. ტერიტორიულად ინსტიტუტი თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ბაზაზე იყო მოთავსებული. ინსტიტუტის დაარსებიდან იწყება საქართველოში სისტემატური და გეგმაზომიერი სამეცნიერო კვლეუბი გეოლოგიის თოლემის უკელა ძირითად დარგში. დასაწყისში გეოლოგიური ინსტიტუტი პატარა სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენდა, საღაც ხელფასს ღებულობდა მხოლოდ დამხმარეტექნიკური პერსონალი. რამდენიმე წლის შემდეგ ის გადაიქცა გეოლოგიური მეცნიერების მოთავედ რესპუბლიკაში. 1933—1941 წლების განმავლობაში ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში შედიოდა, ხოლო 1941 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით, მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების დროს, ის აკადემიის სისტემაში გადავიდა, ხოლო ა. ჯანელიძე აკადემიკოსთა პრეზერ შემადგენლობაში იქნა არჩეული.

გეოლოგიურ ინსტიტუტს ა. ჯანელიძე 30 წლის განმავლობაში ედგა სათავეში. 1955 წელს კი მისივე თხოვნით დირექტორის მო-

ვალეობისაგან განთავისუფლდა და მისივე რეკომენდაციით ინსტიტუტის დირექტორად მისი უახლოესი მოწაფე აკად. პ. გამყრელიძე დაინიშნა. დღეს გეოლოგიური ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ერთ-ერთ წამყვან და მსხვილ სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენს თავისი მაღალკვალი-ფიციური კადრებით და კვლევისათვის საჭირო უახლესი ხელსაწყოებით.

1926—1929 წლების განმავლობაში ა. ჯანელიძე პარალელურად იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1942—1945 წწ.) — კი თბილისის უნივერსიტეტის რექტორი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ა. ჯანელიძეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში. ის სამ ათეულ წელზე მეტხანს იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი,



დიდებას აკადემიის საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი, ხოლო 1951—1955 წწ. განმავლობაში აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

ა. ჯანელიძის, ა. თვალწირელიძისა და კ. გაბუნიას დაუცხრომელი მოღვაწეობის შედეგად ოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის საქართველო ეროვნული გეოლოგიური კადრებით იმდენად იყო უზრუნველყოფილი, რომ შესაძლებელი გახდა სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგში საწარმოო გეოლოგიური უჯრედების შექმნა და სპეციალური სამეცნიერო-საკვლევი გეოლოგიური დაწესებულებების ჩამოყალიბება. ამ ცხოვრებისეული ამოცანის გადაჭრამ თავის მხრივ ახალი სიძნელეები შექმნა იმის გამო, რომ საჭირო გახდა თეორიულ და პრაქტიკულ გეოლოგიაში მომუშავე სპეციალისტების გაერთიანება ერთ ორგანიზაციაში, რომელიც ხელს შეუწყობდა არა მარტო სამეცნიერო დაწესებულებების დაახლოებას პრაქტიკასთან, არამედ პრაქტიკული გეოლოგიის მუშაკების შეიარაღებას თეორიით.

ამრიგად, გაჩნდა იდეა მათი გამაერთიანებელი გეოლოგიური საზოგადოების ორგანიზაციისა. ამ იდეას სულისხამდგმელისა და ინიციატორის ა. ჯანელიძის მთელი მოღვაწეობის ქვაკუთხედი იყო თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელობა. 1933 წელს შეიქმნა საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება, იმ დროს ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო საზოგადოება საქართველოში. საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ არჩეული იქნა პროფ. კ. გაბუნია, ხოლო საზოგადოების სწავლულ მდივნად — დ. მიქელაძე.

1937 წელს საზოგადოების თავმჯდომარის კ. გაბუნიას უდროოდ გარდაცვალების გამო საზოგადოების წევრთა დაეინებული თხოვნით საზოგადოების თავმჯდომარედ ა. ჯანელიძე იქნა არჩეული. ამ მოვალეობას ის 38 წლის განმავლობაში (სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე) ასრულებდა. დიდი ხანდაზმულობის მიუხედავად ასევე არ მიუტოვებია მას მშობლიური უნივერსიტეტიც, საუკუნის თითქმის ბოლომდე აგრძელებდა თავის საყვარელ საქმეს — ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

ა. ჯანელიძის ხანგრძლივ და მრავალმხრივ მოღვაწეობაში სამი სტატუსით მიმართულება ისახება: ა. ჯანელიძე როგორც მეცნიერი რა მეცნიერების ორგანიზატორი, უმაღლესი სკოლის პედაგოგი და დიდი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე.

ა. ჯანელიძის სამეცნიერო-ორგანიზაციულ მოღვაწეობაზე ნაწილობრივ უკვე ითქვა.

ა. ჯანელიძე, როგორც მეცნიერი, ცნობილი იყო პირველ რიგში თავისი ფართო და ლრმა ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო განათლებით. მის აზროვნებას მატერიალისტური ფილოსოფია ედვა საფუძვლად და ამის გამო ბიოლოგიის, მათემატიკის, ქაზიის, ფიზიკის, გეოლოგიისა და საერთოდ მეცნიერების უახლესი მიღწევების შემეცნებასა და ანალიზში ყოველთვის სწორი პოზიცია ეჭირა. მის, როგორც გეოლოგის, ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ყაზანის უნივერსიტეტმა და შემდეგ ისეთ სახელგანთქმულ მეცნიერებთან მუშაობამ როგორიც იყვნენ: ე. ოგი და ვ. კილიანი საფრანგეთში, ი. ვალტერი გერმანიაში.

მეცნიერული მუშაობა ა. ჯანელიძემ პალეონტოლოგიაში დაიწყო. ყაზანის უნივერსიტეტში მან ურალის დასავლური კალთების დევონური ფაუნის მდიდარი კოლექციები (მათ შორის ვ. ჩერნიშვილის კოლექციები) დამუშავა და 1918 წლის დასაწყისის სათვის ყაზანის ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას გადასცა დამთავრებული მონოგრაფია დევონური ნაწლავლრუიანების შესახებ. შრომაში აღწერილია ამ ჯგუფის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი, გასწორდა აღრინდელი განსაზღვრები და დადგინდა ნაწლავლრუიანთა ისეთი გვარებისა და სახეების არსებობა, რომლებიც მანამდე უცნობი იყო ამ რეგიონისათვის. სამწუხაროდ, ეს შრომა იმდროინდელი ისტორიული ვითარების გამო არ გამოქვეყნებულა.

მეცნიერული მუშაობა ა. ჯანელიძემ 1920 წ. დასაწყისში ქ. გრენობლის (საფრანგეთი) უნივერსიტეტში განაახლა აკად. ვ. კილიანის ლაბორატორიაში, ამჟამად მისი კვლევის საგანი ამონიტები იყო. 1920—21 სასწავლო წლის განმავლობაში მან დამთავრა და დასაბეჭდად გადასცა მონოგრაფია ბერიასული გვარის — სპიტიცერასების შესახებ. შრომა საფრანგეთის გეოლოგიური რუკის მემუარებში დაიბეჭდა. ვ. კილიანმა ამ შრომას ვრცელი რეცენზია მიუძღვნა, ბროილიმ შესწავლის შედეგები ციტელის ცნობილ „პალეონტოლოგიის საფუძვლების“ მორიგ გამოცემაში შეიტანა, ხოლო მაზნო თავისი შრომის წინასიტყვაობაში, რომელიც საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების მემუარებში დაიბეჭდა, აღნიშნავდა, რომ ცარცული ამონიტების მონოგრაფიული შესწავლის დიდი საქმე ა. ჯანელიძის მშვენიერი შრომით იწყება.

ამ შრომაში, გვარ სპიტიცერასის და მისი მრავალრიცხოვანი სახის აღწერის გარდა, ა. ჯანელიძე დიდ ყურადღებას აქცევს ზოგად პალეონტოლოგიურ საკითხებს. მან შეამჩნია და აღწერა ტიხრის ხაზის დისიმეტრიის შემთხვევა, მისი წარმოშობის მექანიზ-

მი და სისტემატიკური მნიშვნელობა, აღნიშნა ამ უეჭველად შეძენილი თვისების მექავიდრეობითი გადაცემა. ნიუარის დიმორფიზმის მიხედვით შეეცადა ინდივიდის სქესი გაერჩია, ხოლო ნიუარის ზოგადი ფორმა გამოყენებინა როგორც ეკოლოგიური ნიშანი.

ამავე პერიოდში ა. ჯანელიძემ აღწერა ჰოპლიტიდების თავისებური ჯგუფის ახალი გვარი — დალმასიცერასი, რომელიც პალეონტოლოგიურ ლიტერატურაში იმთავითვე დამკვიდრდა.

უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ა. ჯანელიძე მეცნიერულ მუშაობას თბილისის უნივერსიტეტში აგრძელებს. ამიერიდან მისი კვლევის ობიექტი მშობლიური მიწა-წყალი იქცა და წახევარი საუკუნის განმავლობაში არ მოუკლია მას ყურადღება სამშობლოსათვის. აქ, თბილისის უნივერსიტეტის კედლებში გაიშალა ა. ჯანელიძის დიდი ნიჭი და გასაოცარი ერუდიცია, დიდი შრომის-მოყვარეობა და დაუცხრომელი ენერგია, რომლებიც მან მთლიანად თვისი საყვარელი ხალხისა და ქვეყნის სამსახურს შესწირა.

ა. ჯანელიძემ პირველ ხანებში მეცნიერული მუშაობა კვლავ პალეონტოლოგიაში გაავრძელა, მაგრამ შემდეგ მისი კვლევის დიაპაზონმა მოიცვა გეოლოგიური მეცნიერების თითქმის ყველა სფერო და, შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა გეოლოგის არც ერთი დარგი, რომ მას თავისი გაუმჯობესებული სიტყვა არ ეთქვა. ოთხი ათეული წლის მანძილზე ატარებდა ის გეოლოგიურ დაკვირვებებს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში.

პირველი, რაც ა. ჯანელიძემ საქართველოს მასალაზე ჩატარა, იყო ამონიტების ახალი გვარის — კოლხიდიტესის აღწერა, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ძალზე გავრცელებული აღმოჩნდა კავკასიისა და, საერთოდ, საბჭოთა კავშირის სამხრული, ალკური ზოლის ქვედაცარცულ ნალექებში. ეს გვარი შესულია როგორც საბჭოურ, ისე დასავლურ ევროპის და ამერიკის პალეონტოლოგიურ ლიტერატურაში.

შემდეგ ა. ჯანელიძემ აღმოაჩინა და შეისწავლა კალოვიური ფაუნა სოფ. წესში (ამბროლაურის რაიონი). ამ ფაუნაში საერთოდ აღმოჩნდა ტიპის ფაუნასთან ერთად დადგენილი იქნა ბორიული ფორმების ელემენტებიც.

მალე ა. ჯანელიძემ აღწერა ოქსფორდული ფაუნა. აქ ავტორის წინაშე გაცილებით უფრო რთული პრობლემა იღდა, რადგან გ. აბისის შემდეგ ე. წ. „ქორთის შრეები“ უკვე ცნობილი იყო ყველა შეკვერისათვის, ვისაც საქართველოში მანამდე ემუშავნა. ქორთის შრეების ფაუნა შესწავლილი ჰქონდათ სახელგანთქმულ მ. ნეიმა-

ორს და ვ. ულიგს, რომლებიც ამ ფაუნას ბაიოსურად თვლიდნენ. ა. ჯანელიძემ დამტკიცა ამ ფაუნის და მისი შემცველი შრეების ოქსფორდული ასაკი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს კუთხოვიური აგებულების გარევევისათვის და, აქედან გამომდინარე, ამ მხარის გეოლოგიური განვითარების ისტორიის აღდგენისათვის.

ა. ჯანელიძის პალეონტოლოგიური კვლევებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მისი შრომა ამონიტების ტიხრების გამოყოფის მექანიზმის შესახებ, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგება მანამდე არსებულ წარმოდგენებს ამ საკითხზე. მანვე შეისწავლა ბაიოსური და ლიასური ამონიტები და ცარცული ინოცერამები. საყურადღებოა აღნიშნოს, რომ მან ბაიოსური, ცარცული და ლიასური ნამარხების მასალა, რომელიც მან და პ. გამყრელიძემ შეაგროვეს, შემდეგ თავის მოწაფებს — ი. კახაძეს, ქ. ნუცუბიძეს, ა. ცაგარელსა და მ. ერისთავს გადასცა შესასწავლად.

პალეონტოლოგიური გამოკვლევების ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ა. ჯანელიძის შრომა ცხოველთა სივრცობრივი ორიენტაციისა და ლაბირინტის შესახებ, რომელიც აკად. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნდა 1957 წ. (ტ. II, გვ. 173—179). შრომაში ნაჩვენებია, რომ ლაბირინტი და ნახევარწრიული არხები ეს მხოლოდ წონასწორობის ორგანოები არიან, ხოლო გრავიტაციული ველის პორიზონტულ ზედაპირზე ორიენტაცია გამოწვეული არის ორგანიზმის ორმხრივი სიმეტრიით.

დიდია ა. ჯანელიძის დამსახურება საქართველოს ტერიტორიაზე გაფრცელებული ნალექების სტრატიგიურ ფინანსურისათვის.

ა. ჯანელიძე იმ დროს გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ თვლიდა, რომ ძირულის კრისტალური მასივი პალეოზოური ასაკის არის, რაც შემდეგში არაერთხელ დაასაბუთეს მისმა მოწაფეებმა, ხოლო უკანასკნელ წლებში კრისტალური მასივის ამგები ქანების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრითაც იქნა დამტკიცებული.

ძველი მკვლევრები, გ. აბისიდან დაწყებული, ძირულის მასივის წითელი კირქვების ასაკს მიიჩნევდნენ ტრიასულიდან ოქსფორდულამდე (ჩათვლით). პირველად კ. გაბუნიამ, ხოლო შემდეგ პ. გამყრელიძემ და სხვ. დამტკიცეს. რომ სწორია ნ. ნეიმაირისა და ვ. ულიგის შეხედულება ამ კირქვების შუალიასური ასაკის შესახებ, მაგრამ ა. ჯანელიძემ აჩვენა, რომ ეს კირქვები შეიცავს ლიასურის სრულ ჭრილს დომერულიდან აალენის ჩათვლით, რაც შემდეგში მთლიანად დადასტურდა ი. კახაძისა და

უფრო გვიან ქ. ნუცუბიძის გამოკვლევების შედეგად. ა. ჯანელიძის მიერვე იქნა შესწავლილი რაჭის ლიასური ნალექები და ლოქის მასივის ლიასური ფაუნა. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კავკასიონის ე. წ. „ძირითადი ფიქლების“ ლიასური ფაუნის შესწავლა.

ა. ჯანელიძემ პირველმა გაარკვია იურული პორფირიტული განფენების და მასთან დაკავშირებული შრეებრივი წარმონაქმნების გულყანოგენურ-დანალექი ბუნება. ამ წარმონაქმნებს აღრინდელი მკვლევრები კიმერიჯულად მიიჩნევდნენ, ბევრი კავკასიული გეოლოგი კი — ლიასურად. ა. ჯანელიძემ ამ წყებას პორფირიტული უწოდა და დაამტკიცა, რომ მისი ასაკი ბაიოსურის საზღვრებს არ სცილდება. ამას უდინდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების სწორად გაგებისათვის, რადგანაც ამ წყებას დიდი გავრცელება აქვს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ამ წყებასთან არის დაკავშირებული სამრეწველო მნიშვნელობის ბარიტის საბადოები. პორფირიტული წყების ბაიოსური ასაკი შემდგომში ი. კახაძემ დაადასტურა პალეონტოლოგიურადაც.

პორფირიტულ წყებაზე განლაგებულ ფურცელა ფიქლებსა და ნახშირიან წყებას ა. ჯანელიძე ბათურად თვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამ წყებას პრინადასა და გეპერტის შემდეგ ლიასურად მიიჩნევდა. დღეს ამ წყების ბათური ასაკი არავისშიც ეჭვს არ იწვევს.

უფრო ახალგაზრდა თაბაშირიან ფერად წყებას, რომელსაც დასავლეთ საქართველოში უფრო ფართო გავრცელება აქვს, აღრინდელი მკვლევრები ოქსფორდულად ათარილებდნენ. ბ. მეფე-რტი თვლიდა, რომ ფერადი წყება წარმოადგენს ქვედა ცარცის ტრანსგრესიულ ფუძეს და მის ასაკს განსაზღვრავდა როგორც ტიტონურს. ა. ჯანელიძემ დაამტკიცა ქვედაცარცული ნალექების უთანხმოდ განლაგება ფერად წყებაზე და ამავე დროს, გაითვალისწინა რა რაჭაში ამ წყების თანხმობითი განლაგება პალეონტოლოგიურად დათარილებულ ზედაიურულ ნალექებზე, წყების ასაკი კი შეირჩეულად განსაზღვრა.

ა. ჯანელიძემ დაადგინა დასავლეთ საქართველოს ცარცული გრაუკონიტიანი ქვიშაქვების ვრაკონულ-სენომანური და გლაუკონტიანისზედა კირქვების ქვედატურონული ასაკი.

ორმოციანი წლების დასასრულისა და ორმოცდათიანის დასწეულში ა. ჯანელიძემ ძირითადი სტრატიგრაფიული და ტექტო-

ნიური კვლევები აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიტანა. ამ რაიონების გეოლოგიურ აგებულებას მან მრავალი მეტად საინტერესო შრომა უძლვნა. სტრატიგრაფიული გამოკვლევებიდან უნდა აღინიშნოს მისი შეხედულება აღმოსავლურ საქართველოში ფართოდ გავრცელებული კონტინენტურ-ლაგუნური წარმონაქმნების შესახებ, რომელსაც მრავალი მკვლევარი შეხებია. მისი აზრით, დუშეთის, ლარითისკარის, ცივისა და ალაზნის კონგლომერატები ერთი უწყვეტი სედიმენტაციური პროცესის შედეგია და მისი ასაკი გვიანსარმატულ-პონტური (მოპლიოცენური) უნდა იყოს. ა. ჯანელიძემ მთელ ამ მძლავრ კონტინენტურ წარმონაქმნებს ცივის წყება უწოდა.

დიდ ყურადღებას უთმობს ა. ჯანელიძე ტრანსგრესია-რეგრესის მოვლენების შესწავლას. გან დაამტკიცა რეგრესია ლიასურის ბოლოს და ბაიოსური ტრანსგრესია, ბათური რეგრესია და კალოვიურის ტრანსგრესია, კიმერიკული რეგრესია და აღრეცარცული (ზოგან შესაძლოა უკვე ციტონური) ტრანსგრესია, გვიანალბურ-სენომანური რეგრესია და აზრეტურონული ტრანსგრესია, დანიური რეგრესია და ეოცენის (ან პალეოცენის) ტრანსგრესია, მშვენიერად გამოსახული ოლიგოცენის ტრანსგრესია, ადრემი-ოცენური რეგრესია და შუამიოცენური ტრანსგრესია, რეგრესია — შუასარმატულის ბოლოს. ამ მოვლენების შესწავლის შედეგად ა. ჯანელიძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომელიც თითქმის ცხადი იყო თავისთავად, მაგრამ რომელსაც ხშირად ანგარიშს არ უწევდნენ, რომ გეოსინკლინურ პირობებში რეგრესია წინ უნდა უძლოდეს ტრანსგრესიას და უძლვის კიდევაც. მეორე მხრივ ბაქნებზე ან მთა-თაშუა ბელტებზე რეგრესიული წყება შეიძლება ტრანსგრესიულადაც კი იყოს განლაგებული, როგორც, მაგალითად, კიმერიკული ფერადი წყება და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ა. ჯანელიძე ნალექთა ფაციესების შესწავლას. მან ალნიშნა ძირულის მასივის ლიასური კირქვების გადასვლა სამხრული ოსეთის თიხაფიქლებში, აგრეთვე პორფირიტული წყების ფაციესური ხასიათის ცვლა; დაადგინა ურგონული ფაციესის სინქრონული ამონიტებიანი ფაციესი და მათი ერთმეორებით თანდათანობითი გადასვლა, დაამტკიცა, რომ „მთავრის წყება“ ზედაცარცულ კირქვებში მოთავსებული ფაციესია, რომელიც კირქვებთან მორიგეობს და კირქვებში გადადის და მრავალი სხვა. ფაციესების კვლევის შედეგად მან გეოსინკლინური როფის ფაციესები დაუპირისპირა მთათაშუა ბელტის ფაციესებს

და, გეოსინკლინური და ბაქნური ფაციესებისაგან განსხვავებით, მას ბაქნურისებრი უწოდა.

უკანასკნელ პერიოდში უნიფიცირებული ჰიტრატიგრაფიული შეკლის პრობლემა სტრატიგრაფიული კვლევის ძირითად ამოცანად იქმდა. ა. ჯანელიძე თვლიდა, რომ ოროგენის ზონაში განყოფილების, როგორც ტაქტიკური ერთეულის, საზღვრები არ შეიძლება სებისმიერად იქნას არჩეული, ამ საზღვრებს თვით ბუნება იძლევა — ეს არის ტექტონგენეზისის ფაზები, რასაც ვერ ვიტყვით სართულების მიმართ.

ა. ჯანელიძის მეცნიერულ მუშაობაში მთავარი ადგილი ტექტონიკას უჭირავს. ის ტექტონიკაში ყოველთვის კვლევის ობიექტს ხდიავს, გეოლოგიური დაკვირვებები მისთვის არის ტექტონიკურ მოვლენათა აღწერისა და დასაბუთების საშუალება. ა. ჯანელიძის გამოსავალი ყოველთვის კონკრეტული ტექტონიკაა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დეტალურმა აგეგმვამ ა. ჯანელიძეს საშუალება მისცა რადიკალური ვალილებები შეეტანა ამ მხარის გეოლოგიური აგებულების აღრინდელ წარმოდგენებში. უკეთ 1930 წელს მან აღწერა დანაოჭების ახალი სახე, რომელსაც კი დური დანაოჭება უწოდა. მალე ცონბილი გახდა, რომ დანაოჭების ეს სახე ფართოდ არის გავრცელებული არა მარტო ჩვენში, არამედ სხვაგანაც, რომელიც აგებულ მთიან მხარეებში. რდფური დანაოჭების ფორმირების მექანიზმის ძიების პროცესში ა. ჯანელიძე მივიღა დასკვნამდე, რომ აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამოწევის პროცესი. მან ტექტონგენეზის ამ ორიგინალურ სახეს გამოწევითი ტექტონიკა მთათაწარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმა.

გზიაურის ანტიკლინის განვითარების შესწავლაშ ა. ჯანელიძეს საშუალება მისცა აღედგინა ოკრიბის იურული აუზის რთული ისტორია, ხოლო ტყიბულის ანტიკლინის შესწავლაშ გასაგები გახადა ცუკიბულის ქვანახშირის საბადოს გენეზისი. მანვე დაადგინა იურული და იურის შემდგომი ნაოჭების ლერძების ერთმანეთის დაცირკულაცია და ნაოჭების ვირგაციის მოვლენა ოქრიბაში.

თბილისის მიდამოების ნაოჭების განვითარების ანალიზის შემთხვევა ის მივიღა დასკვნამდე, რომ დანაოჭების შემდეგ მიწის ქერქი ა. კანიცდიდა გაჭიმვას.

ა. ჯანელიძის დიდ დამსახურებად ითვლება მთათაშუაეთი მასივის, საქართველოს ბელტის, ცნების დამუშავება, რო-

შელიც საქართველოს გეოლოგიური აგებულების ქვაკუთხედს წარმოადგენს. მან დამტკიცა საქართველოს ბელტზე და, შემდეგ, გარეკანეთში ზეწრული ნაოჭების არსებობა.

ა. ჯანელიძემ დააღიხა უკვე ბათურ დროში მთავარი კავკასიონის, იალბუზ-ასხის ღერძის გასწვრივ, გარდიგარდმო აზევება, რამაც გააადგილა მთავარი კავკასიონის სამხრულ ფერდზე, მეზოზოური ნალექების განაწილებისა და ფაციესების თავისებურებების ახსნა.

ობილისის მიდამოების დეტალური კვლევის შემდეგ ა. ჯანელიძემ დაადგინა გეოსანკლინური როფის მიგრაცია ჩრდილოეთა-საკენ, ხოლო თბილისის სამხრეთით — სამხრეთისაკენ.

ა. ჯანელიძე თავიდანვე ტექტონიკური პრობლემებით იყო გატაცებული. ცნობილ ტექტონისტ შტილეს ოროგენეტური ფაზისების თეორიას ის თავიდანვე კრიტიკულად შეხვდა. შტილეს თეორია დანაოჭებას უეცარ, კატასტროფულ მოვლენად სახავდა, მიუხედავად იმისა, რომ თვით შტილე თავს კატასტროფისტად არ თვლიდა, მაგრამ, როგორც ა. ჯანელიძე აღნიშნავდა, შტილეს დანაოჭების დათარილების მეთოდს უეჭველად მივყავართ კატასტროფიზმამდე. შტილეს მიხედვით ოროგენეტური ფაზისი უთანხმოებითა და ტრანსგრესით თარიღდება, ა. ჯანელიძე კი დანაოჭებას სინოროგენეტურ რეგრესიას იას უკავშირებს და ამით ათარილებს, რითაც მან მოვლენის უდავო ხანურება დასაბუთა. ა. ჯანელიძემ დაამტკიცა რეგრესიებისა და ოროგენეტური ფაზისების დამთხვევა დროში საქართველოს ტერიტორიის მთელი გეოლოგიური წარსულის მანძილზე.

დასავლეთ ევროპისა და საბჭოური ცენტრალური აზიის მთებისა სისტემების განვითარების გათვალისწინებით ა. ჯანელიძემ ჩამოაყალიბა მთებისა ან ოროგენეტის მიგრაციის თეორია. ოროგენი ჩაისახება ოკეანის კიდეზე და გაივლის გეოსინკლინამდელ სტადიას, როდესაც აუზში ინტენსიურ სეისმიენტაციას ადგილი არა აქვს. ასერ მდგომარეობაშია ფილიპინების აუზი და ატლანტური ოკეანე. გეოსინკლინები ოროგენის განვითარების გვიან სტადიას წარმოადგენენ და უკვე არაერთგზის დანაოჭებულ სუბსტრატზე ვითარდებიან. ოროგენეტური ციკლები სივრცეში ერთიმეორის მიყოლებით ვითარდებიან კონტინენტის პერიფერიისაკენ; თვითეულ სისტემაში ჩვენ გვაქვს რამდენიმე თროგენეტური ციკლის კვალი. ამ საფუძველზე დაყრდნობით ის აგებს მთების „ტელეს კოპური“ განვითარების თეორიას.

ოროგენეტური თეორიებიდან ა. ჯანელიძის სიმპათიები მეცნიერების თანამედროვე დონესთან შეგუებული კონსტრუქციის თეორიისაკენ იხრება.

გრანიტიზაციის საკითხში ა. ჯანელიძე ფართოდ გავებული მეტასომატოზის ნიაღაგზე დგას და გრანიტში ინტენსიური მეტამორფიზმის ბოლო სტადიას ხედავს. მაგრამ ის ამავე დროს იუვენური გრანიტის წარმოშობას ითვალისწინებს როგორც დეზამაგმის კრისტალიზაციური დიფერენციაციის შედეგს.

ა. ჯანელიძე ყოველთვის დაინტერესებული იყო გეომორფოგენეზის საკითხებით. მან თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე აღწერა თბილისის მიღამოებში მდ. მტკვრის ტერასები, ხოლო უფრო გვიან—მდ. რიონის ტერასები. თბილისის მიღამოებში ჭალის ტერასის გარდა გაარჩია ოთხი მთავარი ტერასი და გამოყო ისინი როგორც რეგიონული მნიშვნელობის ტერასები—დიდ ტერასები, რომელთა წარმოშობა ერთზის ბაზისის დაწევით ან მდინარის აუზის კვების არის აზევებით არის შექმნილი, და ადგილობრივი ხასიათის საფეხურები, რომლებიც ერთზის უწყვეტი მსვლელობის პირობებში წარმოიშვნენ. ამავე კატეგორიას ეკუთვნის ის ტერასები, რომლებიც მდინარის დივიგაციის შედეგად წარმოიქმნენ.

ა. ჯანელიძემ შეამჩნია მდინარეების მტკვრისა და რიონის ტერასების ქვემოთკვენ ერთიმეორესთან დაახლოება და მივიდა დაკვნამდე, რომ კავკასიონისა და აჭარა-თრიალეთის ქედის აზევება პლიოცენში და მეოთხეულშიც გრძელდება, რაც იზოსტაზური ან იზოსტაზურ-ოროგენეტური ხასიათის შეიძლება იყოს. აზევების მაჩვენებელია აგრეთვე უმაღლეს ტერასზე ზევით მდებარე მწვერვალთ მერეც რაჭიში, რიონის ხეობაში შემჩნეული.

თბილისის მიღამოებისა და რაჭის მეწყრული მოვლენების შესწავლის შემდეგ ა. ჯანელიძემ მოგვდა მეწყრული მოვლენების სრული გეოლოგიური კლასიფიკაცია.

მან ნათელკყო ქუთაისისა და თბილისის მიღამოების „ვულკანების“ შრინდა ერთზიული ხასიათი.

ჰიდროგრაფიაში ა. ჯანელიძემ აღწერა მდინარეთა წატაცების, კალაპოტის ცვლისა და მიმართულების რევერსიის მოვლენები, რაც თითქმის ყველა შემთხვევაში ტექტონიკური მიზეზებით ახსნა.

პევრი საინტერესო შედეგი აქვს მიღებული ა. ჯანელიძეს ჰიდროგრაფიაში. მან პირველმა აღნიშნა ნატახტარის

წყაროების ინფილტრაციული ბუნება. მდ. არაგვის ჭალაში, მდინარის გვერდით, მშრალი შურფების არსებობის უცნაური ფაქტი მან კალაპოტისქვეშა მდინარის მიწის ზედა მდინარისაგან სრული მოწყვეტით ახსნა. წყვეტილი მინერალური წყაროების შემთხვევის გაცნობამ ა. ჯანელიძეს საშუალება მისცა აღეწერა დენაპერიოდული წყაროების შესაძლებელი მექანიზმი.

წყალტუბოს მინერალური წყაროების გაცნობამ ა. ჯანელიძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ კარსტი ამ რაიონში განვითარებულია გრუნტის წყლების დონის ქვემოთ და, ამგვარად, სიცარიიელენი სავსეა წნევიანი წყლით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ, რეგორც წესი, კარსტის განვითარებისას სიღრუეები სავსეა წყლით და მათი გაფართოება კედლების კირქვის გახსნის შედეგია და არა თავიდანვე ჭერის ჩამოქცევისა.

ბორჯომის წყლის რესურსების პრობლემათან დაკავშირებით ძლიერ საინტერესოა ა. ჯანელიძის ჯერ გამოუქვეყნებელი წერილები (ან მოხსენებები), რომლებიც წნევიანი და გაზიანი წყლის თავისებურებებს აშუქებენ.

ა. ჯანელიძის მეცნიერული მუშაობა თავიდანვე პრაქტიკასთან დაკავშირებით თანა იყო მჭიდროდ დაკავშირებული. ის მონაწილეობდა ნატახტრისა და ბულაჩაურის წყაროების პრობლემების შესწავლაში როგორც კონსულტანტი. მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს ბევრი პიდროელექტროსადგურის პროექტის გეოლოგიური ნაწილის შედგენაში; მას ეკუთვნის სამგორის პროექტის პირველი გეოლოგიური დასაბუთება, ობილისისა და მოსაზღვრე რაიონების საშენი მასალების დაზვერვა, კირქვების შესწავლა ფერომარგანეცის ქარხნისათვის და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ჯანელიძის როლი ტყიბულის ქვანახშირის საბადოს გეოლოგიურად შესწავლის საქმეში. მან დაასაბუთა, რომ ტყიბულისა და გელათის საბადოებს არ ჰქონიათ ერთ-მანეთთან კავშირი, რომ ტყიბულის საბადოს მარაგის გაზრდა მხოლოდ აღმოსავლეთის მიმართულებით არის შესაძლებელი, რაც თკი წლის შემდეგ ღრმა ბურღვამ სავსებით დადასტურა. ა. ჯანელიძემ გაარკვია ბარიტის შემცველი ნაპრალების ბუნება ბაიოსის პორფირიტულ წყებაში; მან აჩვენა, რომ რაჭასა და ოკრიბაში ნავთობგამოვლინება ლიასური ისაკის არის და არა მესამეულისა.

ა. ჯანელიძე 200-მდე ნაშრომის ავტორია. ამათგან 150-მდე გამოქვეყნებულია, დანარჩენი კი დაცულია ხელნაწერის სახით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტი-

ტუტისა და სხვადასხვა საწარმო გეოლოგიური დაწესებულების
ფონდებში.

დიდია ა. ჯანელიძის მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც
მან დატოვა აგრეთვე გეოლოგიური ინსტიტუტისა და საქართვე-
ლოს გეოლოგიური საზოგადოების საჯარო სხდომებზე წაკითხული
მრავალრიცხვოვანი მოხსენებების სახით, რომელთა სათანადო კონ-
სპექტი, ზოგჯერ მოკლე, ზოგჯერ კი უფრო ვრცელი, დაცულია მის
პირად არქივში.

წაკითხული მოხსენებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია
მოხსენებათა ციკლი დარვინიზმის შესახებ, რომელიც მან 30-იანი
წლების დასასრულს წაკითხა გეოლოგიურ ინსტიტუტში, და მოხ-
სენებები გენეტიკის საკითხებზე იქვე წაკითხული.

არაჩვეულებრივი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ა. ჯანელიძე
სახელმძღვანელოების შედგენას. საშუალო სკოლებისათვის შექმნი-
ლი ფიზიკის სახელმძღვანელოების შესახებ ზემოთ უკვე იყო ნათ-
ქვამი, უმაღლესი სკოლისათვის კი ვ. ი. ლენინის სახელობის საქარ-
თველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ-გეოლოგების
თაოსნობით სტენოგრაფიულად ჩაწერილი ისტორიული გეოლოგიის
კურსი გამოქვეყნდა პირველად 1937 წელს, ხოლო იგივე კურსი
აუცილებელი შესწორებით განმეორებით გამოვიდა 1963 წელს.

ა. ჯანელიძეს ეკუთვნის აგრეთვე ზოგადი გეოლოგიის მოქლე
კურსი, რომელიც პირველად გამოიცა 1968 წ., მეორედ კი ოდნავ
შესწორებული — 1972 წელს.

მასვე ეკუთვნის „ნარკვევები გეოლოგიის ისტორიიდან“
(1959), რომელიც არსებითად არის არა მხოლოდ გეოლოგიის ის-
ტორია, არამედ საერთოდ მეცნიერების ისტორია გეოლოგიის მაგა-
ლითზე.

ა. ჯანელიძე დიდ მუშაობას ეწეოდა როგორც რედაქტორი.
იყო გეოლოგიური ინსტიტუტის შრომების ერთადერთი რედაქტო-
რი რიგი წლების განმავლობაში, დიდხანს განაგებდა საქართვე-
ლოს მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო მოსამზადებელი საბ-
ჭოს (რედგამსაბჭოს) მუშაობას.

ა. ჯანელიძე როგორც უმაღლესი სკოლის პედა-
გოგი ხასიათდებოდა განსაკუთრებული თვისებებით. პირველ
ხანებში, სანამ თავისი აღზრდილი მოწაფეები არ ამოუდგნენ მხარ-
ში, მთელ ძირითად გეოლოგიურ დისციპლინებს თვითონ უძლევებო-
და. მას განსაკუთრებული უნარი ჰქონდა სტუდენტებში მომავალი
მეცნიერი შეემჩნია, რამაც განაპირობა შემდეგში მძლავრი ქართუ-

ლი გეოლოგიური სკოლის შექმნა. მისი ღუქციები გამოიჩინდა დინჯი, დამაჯერებელი ტონით, ლოგიკის არასიკეულებრივი სიმტკიცით. მისი ლექციები ყოველთვის შეიცავდა მეცნიერების უახლეს მიღწევებს, მაგრამ ის არასდროს არ კატეგორიულდებოდა საკითხის ცალმხრივი გაშუქებით, ამავე დროს ლექციებში ის მოხდენილად ცენტრული საკუთარი მუშაობის შედეგებს, მისი შეხედულების ანალიზს გეოლოგიური მეცნიერების ამა თუ იმ საკვასძო საკითხზე. მისი ყოველი ლექცია ან მოხსენება, სადაც არ უსრა ყოფილიყო წაკითხული, მსმენელთათვის სიახლის შემცველი და ნამდვილი სიხარული იყო. ქართული სალიტერატურო ესის და ევროპული ენების ბრწყინვალე ცოდნა მას საშუალებას აძლევდა დაეხვეწა ქართული გეოლოგიური აზროვნების სტილი და შეექმნა მრავალრიცხვანი ქართული გეოლოგიური ტერმინი. მაშინაც კი, როდესაც ქართულ ენაშე სპეციალური გეოლოგიური დისციპლინების კითხვა უკვე არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, ა. ჯანელიძე მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. 1968 წელს გამოცემულ ზოგადი გეოლოგიის კურსშიც ყოველ გვერდზე შეიძლება ვნახოთ ახალი ტერმინი ან ძველის შესწორებული ვარიანტი. ის საერთოდ დაინტერესებული იყო ქართული ენის სალიტერატურო ნორმებით და ამ საკითხს სპეციალური წერილიც კი უძღვნა ორიგინალური სათაურით „ჩემი გაჭირვება“ (საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების შრომები, ტომი VII, ნაკვ. 1, 2; 1970).

ა. ჯანელიძის ლექციები და მოხსენებები დიდალ აუდიტორიას იკრებდა. მის ლექციებს ზოგად გეოლოგიაში უნივერსიტეტის მეზობელი დარგების პევრი სტუდენტი ისმენდა, ხოლო პირველ ლექციებს გეოლოგიის ისტორიაში ესწრებოდა ყველა მისი მოწაფე, რომელთაგან ბევრს უკვე მაშინ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ჯანელიძის ლექციების ციკლი საშუალო სკოლაში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში მისი სწავლის პერიოდის შესახებ, რომელიც მან უნივერსიტეტის რექტორატის თხოვნით სტუდენტ-გეოლოგებთან წარიმონა შემდეგ ეს ლექციები საფუძვლად დაედო მის „მოგონებებს“, რომელიც 1971 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

სრულიად განსაკუთრებული იყო მისი მიღვომა ასპირანტებისადმი. სანამ ის ახალგაზრდას რამე საკვალიფიკაციო თემას დაავალებდა, თვით იწყებდა ამ საკითხის შესწავლას. ის არ ერეოდა ასპირანტის ყოველდღიურ მუშაობაში, მაგრამ არასდროს ტოვებდა

მას ყურადღების გარეშე. რამდენიმე თვის მანძილზე ის მხოლოდ ერთ-ორ თითქოს შემთხვევით კითხვას თუ მისცემდა ასპირანტს, მაგრამ ეს სავსებით საქმარისი იყო იმისათვის, რომ ასპირანტს მთელი გატაცებით და დროის დაუზოგავად ემუშავნა. ა. ჯანელიძის ხელმძღვანელობა ასპირანტს ავალებდა ღრმად ჩასწვდომოდა საკითხს და გასცნობოდა და გაეანალიზებია უახლოესი ინფორმაცია მოცემულ საკითხზე. ასპირანტებისა და უახლოესი თანამშრომლების მიმართაც კი იყო სამართლიანი და მკაცრი, დიდად მომთხოვნი. ა. ჯანელიძე ორასდროს კმაყოფილდებოდა ასპირანტის ან მისი თანამშრომლის სპეციალური (გეოლოგიური) განათლებით. მას მეცნიერი მუშავი ფართოდ ერუდირებულ ადამიანად წარმოედგონა.

ა. ჯანელიძის უშუალო მოწაფეთა რიცხვში დღეს რამდენიმე ათეული მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი ითვლება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თითქმის ყველა გეოლოგ-აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი ა. ჯანელიძის უშუალო მოწაფეები არიან.

საზოგადოებრივი მუშაობა ა. ჯანელიძემ ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში დაიწყო. 1905 წლის რევოლუციის თანაგრძნობის ნიშნად მან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას, სადაც ის ამ დროს მეშვიდე კლასში იყო, თავი დაანება და გაემგზავრა მშობლიურ ნიკორწმინდას, სადაც რევოლუციურად განწყობილ გლეხობას უმარტავდა იმ დროს რუსეთში მომხდარი რევოლუციის მნიშვნელობას. მალე მან პროპაგანდისტული მუშაობა ცაგერში გააგრძელა. ამ პერიოდში ხდებოდა მისი ჩამოყალიბება როგორც „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების“, მონაწილეობდა შეაიარაღებული რაზმის საქმიანობაში, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ქუთაისის აღება.

1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ა. ჯანელიძე კვლავ ქუთაისში დაბრუნდა, რეპეტიტორობა დაიწყო და თან ექსტერნად კლასიკური გიმნაზიის დასამთავრებლად ემზადებოდა. შემდეგ უენევაში განაგრძო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობა. პარიზში ქართველთა სათვისტომოს გამგეობის ჯერ წევრი და შემდეგ თავმჯდომარე იყო. ერთხელ მას შემთხვევა ჰქონდა ვ. ი. ლენინის ლექცია მოესმინა. „...ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ამ უაღრესად მოძრავმა ადამიანმა, რომელიც თითქოს განსახიერებულ ენერგიას წარმოადგენდა და გარემოშიც ენერგიას ასხივებდა. მისი სიტყვა მოქმედება იყო, მოხსენება — პიროვნების ნაკვესი“, იგონებდა ის შემდეგ („მოგონებები“, გვ. 105—106). პარიზშივე

შეხვდა ის ჩვენს სასიქადულო პოეტს, აკაკის, რომელსაც სათვის-
ტომომ სპეციალური ქართული საღამო მოუწყო.

პარიზიდან დაბრუნების შემდეგ საზოგადოებრივი მოღვაწეო-
ბა ა. ჯანელიძემ ქუთაისში განაგრძო, საღაც ის კერძო საშუალო
სასწავლებელში, მ. ყაფხშიშვილის ქალთა გიმნაზიაში, ალგებრასა
და ტრიგონომეტრიას ასწავლიდა.

ქუთაისში მუშაობის დაწყებისთანავე ა. ჯანელიძე აირჩიეს
ქუთაისის ქართული გაზეოის სარედაქციო კოლეგიის წევრად, სა-
დაც მან ფრიად სასაჩვენებლო მუშაობა გააჩარი. ამავე დროს ის
ეწევა დიდმნიშვნელოვან საქმიანობას როგორც ქართველთა შო-
რის წერა-კითხვის გამაყრულებელი საზოგადოების ქუთაისის ფი-
ლიალის გამგეობის წევრი და, უფრო გვიან, საზოგადოება „სინათ-
ლის“ და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრი.

1917 წლის ვაზაფხულზე, როდესაც ა. ჯანელიძე ყაზანიდან
აროეუბით ქუთაისში დაბრუნდა, ის აირჩიეს თბილისის უნივერსი-
ტიური ლაფუძნებისათვის ხელშემწყობი კომიტეტის მდივნად. ამ
საეკისხე ა. ჯანელიძე აწარმოებდა პირად მოლპარაკებას და მი-
მოწერას ი. ჯავახიშვილთან მომავალი უნივერსიტეტის სტრუქტუ-
რის, პედაგოგთა კადრებისა და სხვათა შესახებ. საგულისხმოა ა. ჯა-
ნელიძის შეხედულება საკითხზე: შეიძლება თუ არა ქართულ უნი-
ვერსიტეტში უცხოელი, მათ შორის რუსი პროფესორების მოწვევა. ა.
ჯანელიძე ამ ღონისძიებას, როგორც დროებითს, შესაძლებლად
მიიჩნევდა. თათბირს, რომელიც ა. ჯანელიძის თავმჯდომარეობით
ჩატარდა და რომელზედაც მომავალი უნივერსიტეტის საქმეებს იხი-
ლავდნენ, ესწრებოდნენ: ი. ყიფშიძე, ა. რაზმაძე, ა. ხარაძე, შ. ნუ-
ცუბიძე, ვ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ვ. ბერიძე და სხვები. როგორც
კედავთ, ეს ის პირებია, რომლებიც შემდეგში უნივერსიტეტის და-
შაარსებლები და მისი პირველი პროფესორები გახდნენ.

ამავე პერიოდში ა. ჯანელიძე ქართული სამრეწველო ბანკის
დაარსების საინიციატივო კომიტეტის მდივანიც იყო.

უცხოეთიდან მეორედ დაბრუნების შემდეგ, უკვე საბჭოთა ხე-
ლისუფლების პერიოდში, გაიშალა ა. ჯანელიძის ფართო მოღვაწე-
ობა სამეცნიერო, სამეცნიერო-საორგანიზაციო და პედაგოგიური
მუშაობის სფეროში. მაგრამ ამ დიდი მუშაობის პარალელურად ის
ეწევა ფართო საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობასაც. ის

არაერთგზის იყო არჩეული უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაქთა პროფესიონალის პრეზიდიუმის წევრად და ამ კავშირის საქართველოს ან საკავშირო კონფერენციის დელეგატად.

1937 წელს ა. ჯანელიძე აორჩიეს საქართველოს საბჭოების მეშვიდე საგანგებო ყრილობის დელეგატად და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტის დამდგენი სარედაქტო კომისიის წევრად. ის იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი და ოთხივე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. 1942 წელს ა. ჯანელიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღო.

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავზე ა. ჯანელიძე შევიდა საქართველოს მშრომელთა დელეგაციის შემაღლებობაში, რომელიც მოსკოვში იყო მიწვევული.

როგორც ადამიანი და მოქალაქე ა. ჯანელიძე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი თავმდაბლობით და სისპეტაკით. მისთვის უცხო იყო ანგარებაზე დამყარებული რამე მოქმედება; ვინმეს აუგად ხსნება მასთან არ შეიძლებოდა, არც მას დასცდებოდა ვინმეს მიმართ საყვედური ან სხვა რამ. რამე ირონიული მას მხოლოდ მისი პიროვნებისადმი შეეძლო გამოიყენეთ. ის იყო კეთილშობილების ეტალონი და დიდი პატრიოტი. მან, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი პირადი ცხოვრება მეცნიერებისა და მისი მშობლიური ქვეყნის სამსახურს შესწირა. ამავე დროს იყო დიდად პრინციპული ყოველგვარ დიდსა და პატარა საქმეში, დიდად მომთხოვნი თავის თავისადმი და აგრეთვე თავისი მოწაფეებისა და ირგვლივ შუოფი ყველა პირისადმი.

მისი ამ თვისებებით აიხსნება ის, რომ მისი დაბადების 60 და 70 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე მისი მეგობრებისა და მოწაფეების დაუინებული თხოვნით მოეწყო, ხოლო დაბადების 80 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებით ქვლავ მისი მოწაფეების თხოვნით მხოლოდ იმაზე დათანხმდა, რომ გეოლოგიური ინსტიტუტის სპეციალურ სამეცნიერო სესიაზე მოხსენება წაეკითხა თავისი მუშაობის შესახებ გეოლოგიაში. ეს სესია 1968 წლის დეკემბერში ჩატარდა.

სამშობლომ დიდად დააფასა ა. ჯანელიძის ღვაწლი მეცნიერებისა და ხალხის წინაშე. ის დაჯილდოებული იყო სამი ლენინძის, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით.

უკანასკნელ პერიოდში, როდესაც მას მოხუცებულობა მიეძა-

ლა და სმენამაც უმტყუნა, იძულებული გახდა აქტიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას რამდენადმე ჩამოშორებოდა. ამ გარემოებას ის განსაკუთრებით განიცდიდა, მაგრამ მისი მოწაფეები ყოველნაირად ცდილობდნენ მისთვის ეს სიძლიმე შეემსუბუქებიათ. უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს მას ცხოველი ინტერესი გეოლოგიისადმი, მისი პირმშო გეოლოგიური ინსტიტუტისადმი, უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრისადმი და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისადმი, რომელთა ყოველგვარი მიღწევა, პირადი თუ სამსახურებრივი, მისთვის, ნამდვილი სიხარული იყო.

1974 წლის დეკემბრის დასასრულისა და 1975 წლის იანვრის პირველი ნახევრის განმავლობაში თითქოს არც თუ ისე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 16 იანვარს, საღამოს 10 საათზე, ის სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, ვალმოხდილი და იმ იმედით, რომ მისი დაწყებული საქმე—გეოლოგიური მეცნიერება საქართველოში, რომელიც მან უკვე მოწიფულობის ასაკამდე აღზარდა, დარჩა მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა, მეგობართა და თაყვანისმცემელთა საიმედო ხელში.

ქართველი ხალხი არასტროს დაიგიწყებს თავის დიდ მაშულობებისა და მოქალაქეს ა. ჯანელიძეს, რომლის მთელი ხანგრძლივი ცხოვრება მიმართული იყო მშობლიური ხალხის საკეთილ-დღეოდ.

გ. ჭელიძე, გ. ზესაშვილი

АКАДЕМИК АЛЕКСАНДР ИЛЛАРИОНОВИЧ ДЖАНЕЛИДЗЕ

Краткий обзор научной и общественной деятельности
1888—6.XI — 1975—16.I

С именем Александра Илларионовича Джанелидзе, выдающегося ученого и общественного деятеля, основателя и руководителя грузинской геологической школы, связано зарождение и развитие геологической науки в Грузии. Будучи энциклопедически образованным ученым и прирожденным педагогом, он сумел в короткий срок не только обеспечить высокий уровень проведения исследований Грузии, но и создать необходимые предпосылки для дальнейшего широкого развития геологической науки в республике, воспитав многочисленные кадры исследователей.

А. И. Джанелидзе родился 6 ноября 1888 года в с. Никорцминда Амбролаурского района в семье служащего.

Восьмилетним мальчиком его отдали учиться в Сачхерскую среднюю школу, а в 1897 г., после успешной сдачи вступительных экзаменов, он был зачислен в Кутаисскую классическую гимназию.

В 1905 г., будучи учеником 7-го класса, в знак солидарности с революционно настроенной молодежью, он оставляет гимназию и через год экстерном сдает выпускные экзамены.

В 1906 году для получения высшего образования А. И. Джанелидзе уезжает заграницу, сперва в Женеву, привлекавшую его к себе как центр политической эмиграции, а затем в Париж, где он в 1907 г. поступает на естественное отделение факультета наук Сорбонны.

После успешного окончания в 1910 г. университетского курса он еще на год остается в Париже, продолжая работать в Университете.

В 1911 г. А. И. Джанелидзе возвращается на родину и преподает физику в Кутаисской грузинской гимназии, а в женской гимназии ведет курс математики.

В 1915 г. он поступает в Казанский университет с целью уравнения в правах. После успешного окончания университета и получения диплома первой степени, его оставляют при кафедре геологии и палеонтологии для подготовки к профессуре.

В феврале 1918 г. А. Н. Джанелидзе приезжает в Грузию, но вернуться в Казань ему уже не удается из-за условий Гражданской войны. В сентябре этого же года он начал работать преподавателем физики в Тбилисской грузинской гимназии, одновременно принимая деятельное участие в подготовке новых учебных планов и программ для средней школы.

В 1918—1919 гг. А. И. Джанелидзе опубликовал два учебника физики для средней школы — первые учебники физики на грузинском языке.

